ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სილაბუსი

2011/2012 სასწავლო წელი

**ფაკულტეტი**: პედაგოგიური

**კათედრა-** პედაგოგიკა, ფსიქოლოგიისა და მეთოდიკების გაერთიანებული

**სალექციო კურსის დასახელება და მისი კოდი:**

განათლების ფსიქოლოგია P.2.F.05

**სალექციო კურსის სტატუსი:** სავალდებულო მაგისტრატურის სტუდენტებისათვის

**კრედიტების რაოდენობა**: 5 ECTS

**ლექტორი**: მოწ. პროფესორი ქეთი მაყაშვილი

**სალექციო კურსის აღწერა** – განათლების ფსიქოლოგია წარმოადგენს სალექციო კურსს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის მაგისტარტურის სტუდენტებისათვის. განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო კურსი მოიცავს როგორც ლექციებს, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს და სემინარებს. განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო კურსის ხანგრძლივობაა 1 სემესტრი. სულ: 125 საათი, რომელიც ასე ნაწილდება: კვირაში 2 სააუდიტორიო შეხვედრა. ე. ი. სემესტრში სტუდენტის ლექტორთან შეხვედრის საათებია – 30. ხოლო, დარჩენილი 95 საათი სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის წილია.

**სალექციო კურსის მიზანი და ამოცანები:** განათლების ფსიქოლოგია არის ფსიქოლოგიის დარგი, რომლის სწავლის შედეგად სტუდენტებმა უნდა შეიძინონ სათანადო ფსიქოლოგიური ცოდნა, უნარ- ჩვევები და დამოკიდებულება რათა დახმარება გაუწიონ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სასწავლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის. განათლების ფსიქოლოგიის ახალი კურსი აგებულია თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით.

**სალექციო კურსზე დაშვების წინაპირობა (პრერეკვიზიტი):** არა აქვს

**სალექციო კურსის შედეგები:**

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | მაგისტრანტი ფლობს ღრმა ცოდნას განათლების ფსიქოლოგიის სფეროში | ფლობს საფუძვლიან ცოდნას განათლების ფსიქოლოგიის ისეთი ძირითადი საკითხების შესახებ, |

| | | |
|---|---|---|
| | | როგორიცაა: მასწავლებლისა და მასწავლებლის, მასწავლებლისა და მშობლის ურთიერთობის ფსიქოლოგიური ასპექტები, საგანამანთლებლო სისტემის ეფექტური ფუნქციონირების ფსიქოლოგიური ბარიერები და მათი გადაჭრის ეფექტური სტარტეგიები. დაუფლებულია სწავლების პროცესის მართვის ფსიქოლოგიურ საკითხებს, განსაზღვრავს სწავლების პროცესში ეფექტური გონებრივი განვითარების პირობებს, შეისწავლის მასწავლებლისა დამოსწავლის რთიერთდამოკიდებულების საკითხებს, მოსწავლეებისადმი ინდივიდუალური მიდგომის საკითხებს და მასწავლებლის ფსიქოლოგიას |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | განუვითარდებათ ანალიზის და სინთეზის უნარი, შემოქმედებითი ძიების უნარი, მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების უნარი | შეუძლია ფსიქოლოგიური კვლევების შედეგთა მეთოდოლოგიური დახასიათება და მათი სხვადასხვა სამეცნიერო კვლევით ამოცანებზე მორგება; ფლობს კონკრეტული მიზნის მქონე ფსიქოლოგიური დაკვირვების ჩატარების ტექნიკას და შეუძლია კონკრეტულ სიტუაციაში მისი დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი. |
| კომუნიკაციის უნარი | ექნებათ ეფექტური კომუნიკაციის უნარი | შეუძლიათ კოლეგებთან პროფესიული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია |
| სწავლის უნარი | შეუძლია ამ სფეროში საკუთარი საქმიანობის შეფასება, ანალიზი და გაუმჯობესება | შეუძლია განათლების ფსიქოლოგიის სფეროში სამეცნიერო სიახლეებისა და ახალი მეთოდოლოგიის მოძიება, შესწევს ამ სფეროს უწყვეტი განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების უნარი |
| დასკვნის უნარი | შეეძლებათ დაკვირვებების საფუძველზე დასკვნების გამოტანა | შეეძლებათ ინფორმაციის მოძიება, განზოგადება, ანალიზი და დასკვნების გამოტანა |

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები**: ლექცია, ჯგუფში მუშაობა, ზეპირი გამოკითხვები, კოლოქვიუმები და პრეზენტაცია

**ძირითადი ლიტერატურა**:

1.ჯაფარიძე, მ. (2005) *განათლების ფსიქოლოგია*. თბ. 2005წ.

**დამატებითი ლიტერატურა**:

1. კოტეტიშვილი, ი. (1985) *დაწყებითი სწავლების საკითხები.* თბ. 1985წ.

2. ჩხარტიშვილი, შ.(1974) *აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია*. თბ. 1974წ.

**მოთხოვნები** :სტუდენტთა დასწრება სავალდებულოა, როგორც ლექციებზე ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებზე. სტუდენტი, რომელიც ხელს უშლის ლექციის ან სემინარის მიმდინარეობას, განთავისუფლებული იქნება ლექციიდან ან სემინარიდან. ის სტუდენტი, რომელიც არ ივლის ლექცია სემინარებზე და არ მიიღებს მონაწილეობას შუალედურ ტესტირებაზე, იგი ავტომატურად შეფასდება 0 ქულით.

**სალექციო კურსის სტრუქტურა**:

**I კვირა**

განათლების ფსიქოლოგიის საგანი, სწავლა, სწავლება, დასწავლის ცნებები.

ლიტერატურა:

1, ჯაფარიძე, მ. (2005) *განათლების ფსიქოლოგია*. თბ. 2005წ. გვ.6-17

**II კვირა**

სწავლება, როგორც მეცნიერება და როგორც ხელოვნება. ბარიერები დამწყები მასწავლებლის საქმიანობაში და მათი ფსიქოლოგიური ანალიზი.

ლიტერატურა:

1. ჯაფარიძე, მ. (2005) *განათლების ფსიქოლოგია*. თბ. 2005წ. გვ. 18-29.

**IIIკვირა**

განათლების ფსიქოლოგია და კვლევა. კვლევის მეთოდები. მათი ანლიზი.

ლიტერატურა:

1. ჯაფარიძე, მ. (2005) *განათლების ფსიქოლოგია*. თბ. 2005წ. გვ.30-47.

**IV კვირა**

სწავლებისა და განვითარების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი

შუალედური წერა

ლიტერატურა:

1. ჯაფარიძე, მ. (2005) *განათლების ფსიქოლოგია*. თბ. 2005წ.გვ. 48-60.

**V კვირა**

კლასში მრავალფეროვნება – გენდერი, კულტურა, სწავლების ინდივიდუალიზაციის საკითხები.

ლიტერატურა:

1. ჯაფარიძე, მ. (2005) *განათლების ფსიქოლოგია*. თბ. 2005წ. გვ. 60-80.

**VI კვირა**

სწავლების თეორიები. ბიჰევიორიზმი: დასჯა და წახალისება, მათი სახეები, შედეგები. ბიჰევიორიზმი სკოლის პირობებში.

ლიტერატურა:

1. ჯაფარიძე, მ. (2005) *განათლების ფსიქოლოგია*. თბ. 2005წ. გვ.81-86.

**VII კვირა**

სოციალური დასწავლა ბიჰევიორიზმიდან კოგნიტივიზმამდე

ლიტერატურა:

1. ჯაფარიძე, მ. (2005) *განათლების ფიქოლოგია*.თბ.2005წ. გვ.87-90

შუალედური წერა

**VIII კვირა**

სწავლებისადმი კოგნიტური მიდგომა, აზროვნება და მეხსიერება. კოგნიტური სტრატეგიები, კონსტრუქტივიზმი და დირექტიული სწავლება.

შუალედური წერა

ლიტერატურა:

1. ჯაფარიძე, მ. (2005) *განათლების ფსიქოლოგია* თბ. 2005წ. გვ. 90-112.

**IX კვირა**

სწავლებისადმი ჰუმანისტური მიდგომა. ჰუმანიზმი კლასში და ჰუმანისტური პროგრამები.

ლიტერატურა:

1. ჯაფარიძე, მ. (2005) *განათლების ფსიქოლოგია* თბ. 2005წ. გვ. 113-124.

**X კვირა**

მოტივაცია და სასწავლო პროცესი. მოტივაციის ფსიქოლოგიური თეორიები. მოტივაცია სწავლებაში და სწავლის პროცესში.

ლიტერატურა:

1. ჯაფარიძე, მ. (2005) *განათლების ფსიქოლოგია.* თბ. 2005წ. გვ.133-142.

**XI კვირა**

ინტელექტი და შემოქმედებითობა. I0 ტესტები, ინტელექტის თეორიები, კრეატულობა.

ლიტერატურა:

1. ჯაფარიძე, მ. (2005) *განთლების ფსიქოლოგია.* თბ. 2005წ. გვ.243-252.

**XII კვირა**

განსაკუთრებული მოსწავლეები. ნიჭიერი და უნარ-შეზღუდული ბავშვები, სწავლის უუნარობა.

შუალედური წერა

ლიტერატურა:

1. ჯაფარიძე, მ. (2005) *განათლების ფსიქოლოგია.* თბ. 2005წ. გვ.252- 274.

**XIII კვირა**

პედაგოგიური მიზნები და შეფასება.

ლიტერატურა:

1. ჯაფარიძე, მ. (2005) *განათლების ფსიქოლოგია* თბ. 2005წ. გვ.157-167

შუალედური წერა.

**XIV კვირა**

პედაგოგიური მიზნების კოგნიტური და აფექტური მდგომარეობები. მოსწავლეთა შეფასების მეთოდები.

ლიტერატურა:

1. ჯაფარიძე, მ. (2005) *განათლების ფსიქოლოგია.* თბ. 2005წ. გვ. 280-294.

XV კვირა

მასწავლებლის მიერ შედგენილი ტესტები, მისი სახეები და მნიშვნელობა.

ლიტერატურა:

1. ჯაფარიძე, მ. (2005) *განათლების ფსიქოლოგია.* თბ. 2005წ. გვ. 302- 332

**სტუდენტის შეფასების სისტემა:**

სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები, და დასკვნითი გამოცდა. ამ კომპონენტების ქულათა ჯამი უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

- შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1)შუალედური წერა მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);ჩატარდება მერვე და მე-12 კვირის ბოლოს.

2) ზეპირი გამოკითხვა მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა) ჩატარდება ოთხჯერ. ორი გამოკითხვა ჩატარდება პირველი რვა კვირის განმავლობაში, შემდეგი ორი კი მეორე შვიდი კვირის განმავლობაში.

3) ზეპირი პრეზენტაცია მაქსიმუმ 10 ქულა. სტუდენტი ირჩევს საპრეზენტაციო თემას და წარმოადგენს ნებისმიერ დროს, პრეზენტაცია ფასდება შემდეგი ქულებით:

თემის გასაგებად წარმოდგენა- მაქსიმუმ 4 ქულა

დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა- მაქსიმუმ 4 ქულა

ვიზუალური საშუალებების გამოყენება- მაქსიმუმ 2 ქულა

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება ზეპირი ფორმით.

II. დასკვნითი (საბოლოო) გამოცდა – 40 ქულა

შენიშვნა: გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასება შეადგენს მინიმუმ 11 ქულას.

კრედიტი ენიჭება სტუდენტს 51 ქულაზე. გამოცდის ხანგრძლივობაა 2 საათი.

თითოეული მოთხოვნის შესრულების დროსთან დაკავშირებით სტუდენტი წინასწარ გაფრთხილდება.

შუალედური მუშაობისა და დასკვნითი გამოცდის შეჯამების შემდეგ, სტუდენტს

მიენიჭება დადებითი შეფასებები:

A (ფრიადი) _91 ქულა და მეტი

B (ძალიან კარგი) _81-90 ქულა

C (კარგი) _71-80 ქულა

D (დამაკმაყოფილებელი) _61-70 ქულა

E (საკმარისი) _51-60 ქულა

უარყოფითი შეფასებები: FX (ვერ ჩააბარა) ეძლევა დამატებით გასვლის უფლება _41-50 ქულა

F (ჩაიჭრა) ახლიდან აქვს შესასწავლი _40 ქულა და ნაკლები.

**ძირითადი ლიტერატურა:**

1.ჯაფარიძე, მ. (2005) *განათლების ფსიქოლოგია.* თბ. 2005წ.